



საქმე №18/102-13

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

26 აპრილი, 2013 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
მოსამართლე: გერონტი კახეთელიძემ

ლიკა ჭილაძის მდივნობით,

სახელმწიფო ბრალმდებლის: ა.ტ.-ს

ადვოკატის: გ.გ.-ს

მონაწილეობით,

ღია სასამართლო სხდომაზე, პროკურორ ა.ტ.-ს სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე (გამოძიების №XXXXXXXXXXXX): ლ.ნ.-ს-მე გ.-ს, საქართველოს მოქალაქის (პირადი №XXXXXXXXXXXX), დაბადებულის 1975 წლის 21 აგვისტოს ქ. თ.-ში, უმაღლესი განათლებით, ნასამართლობის არმქონის, განქორწინებულის, რეგისტრირებული: ქ. თ.-ში, ბ.ხ.-ს ქ.№XX, ბინა XX-ში, მიმართ, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ – ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

წინასწარ გამოძიებაში ლ.გ.-ს ბრალად წარდგენილი ჰქონდა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ლ.გ. იყო აწგარდაცვლილი ბიზნესმენის გ.გ.-ს მეგობარი და ნდობით აღჭურვილი პირი. გ.გ. 1998 წლიდან ფლობდა 1270 მ² ფართის მიწის ნაკვეთს ქ. თ.-ში, ს.-ს მოედანზე, შ.-ს ს.-ს მიმდებარე ტერიტორიაზე. (ამჟამად ქ. შ.-ს X. №X). ამ უკანასკნელმა აღნიშნული მიწის ნაკვეთი ფიქტიურად გადააფორმა მეგობარ ა.ც.-ზე, რომელმაც ქონების განკარგვაზე გ.გ.-სავე დავალებით მინდობილობა მისცა ლ.გ.-ს. 2009 წლის 3 თებერვალს სასამართლო გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის მერიას, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, დასახელებულ 1270 მ² მიწაზე მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება. შემდგომში, მიწის ფიქტიური მესაკუთრის ა.ც.-ს ასევე ფიქტიურ წარმომადგენელს – ლ.გ.-სა და თბილისის მერიას შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომლითაც ქ. თბილისის მერია, როგორც ექსპროპრიატორი, კისრულობდა ვალდებულებას ა.ც.-სათვის გადაეხადა საექსპროპრიაციო

ქონების ღირებულება 254 000 ლარი. აღნიშნული მორიგების აქტი დამტკიცდა 2009 წლის 21 ოქტომბრის სასამართლო გადაწყვეტილებით. 2010 წლის 1 დეკემბერს გ.გ. გარდაიცვალა. ლ.გ. აცნობიერებდა, რომ მას ფიქტიურად ჰქონდა მინდობილობა და მიწის ნაკვეთის რეალური მფლობელი გ.გ. იყო. იგი ბოროტად სარგებლობდა რა გ.გ.-ს ნდობით, განიზრახა თაღლითურად დაუფლებოდა დიდი ოდენობით თანხას. ქ. თბილისის მერიის მხრიდან მის პირად ანგარიშზე 2010 წლის 22 დეკემბერს ჩარიცხული 254 000 ლარი, რომელიც ეკუთვნოდა გ.გ.-ს და მას ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდგომ უნდა გადაეცა ოჯახის წევრებისათვის, მისსაკუთრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 იანვრის განაჩენით:

ლ.გ. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

ლ.გ.-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა;

გამართლებულ ლ.გ.-ს მიენიჭა საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განხილული იქნა ბრალდებულ ლ.გ.-ს დასწრების გარეშე, საქართველოს სსსკ-ის 189-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვინაიდან იგი თავს არიდებდა სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა ა.ტ.-მ.

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით აპელანტი ითხოვს ლ.გ.-ს მიმართ გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 იანვრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა რა საქმის მასალები, გაეცნო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს, ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა რა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროკურორ ა.ტ.-ს სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 იანვრის განაჩენი უცვლელად უნდა იქნას დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა

გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ“. ამავე კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.“ ამავე კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „...გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. აგრეთვე, ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. 269-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად დაედოს ვარაუდი“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა“. საქმეში არსებული 2007 წლის 12 ივლისის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდება, რომ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, დაზუსტებული ფართობით 1270 კვ.მ. საკადასტრო კოდით XX/XX/XX/XX/XXX, მდებარე ქ. თ.-ში, ს.-ს მოედანზე, შ.-ს ს.-ს მიმდებარედ (ნაკვეთი №XX/XX), მესაკუთრეა ა.ც. (დაბ.27/02/1973), პირადი ნომერი XXXXXXXXXXXX. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია ნასყიდობის ხელშეკრულება №X-XXXX, დამოწმების თარიღი - 09/07/2007. ასევე, 2009 წლის 12 ივნისის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან კი დასტურდება, რომ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, დაზუსტებული ფართობით 1269 კვ.მ. საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX, მდებარე ქ. თ.-ში, ს.-ს მოედანზე, შ.-ს ს.-ს მიმდებარედ (ნაკვეთი №XX/XX), მესაკუთრეა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებია: წერილი №XX/XXXXX-X, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელი. ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დამტკიცდებოდა საჯარო რეესტრის ზემოხსენებული ჩანაწერების უზუსტობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით №X/XXXX-XX დამტკიცდა მორიგების აქტი ქ. თბილისის მერიასა და ა.ც.-ს წარმომადგენელ ლ.გ.-ს შორის, რომლის მიხედვითაც მოპასუხე ქ. თბილისის მერია, როგორც ექსპროპრიატორი, კისრულობს ვალდებულებას კომპენსაციის სახით გადაუხადოს ა.ც.-ს საექსპროპრიაციო ქონების (მდებარე ქ. თ.-ში, ს.-ს მოედანზე, „შ.-ს ს.-ს“ მიმდებარედ განთავსებული, ა.ც.-ს საკუთრებაში არსებული 1270 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) ღირებულება. კერძოდ, 1 კვ. მ.-ში 200 ლარი, სულ 254 000 ლარი. ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 დეკემბრის №XX.XX.XXXX

დადგენილების მიხედვით კი ქ. თ.-ში, ს.-ს მოედანზე, „შ.-ს ს.-ს“ მიმდებარედ განთავსებული, ა.ც.-ს საკუთრებაში არსებული 1270 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი XX/XX/XX/XX/XXX) ღირებულება – 1 კვ. მ.–ში 200 ლარი, სულ – 254 000 ლარი, გადახდილ იქნეს არაუგვიანეს 2010 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული მტკიცებულებებით პალატას დადგენილად და დადასტურებულად მიაჩნია, რომ სწორედ ა.ც. იყო ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და მასთან (წარმომადგენლის ლ.გ.-ს მეშვეობით) აწარმოებდა მოლაპარაკებას ქ. თბილისის მერია, რაც აგრეთვე დასტურდება 2010 წლის 22 დეკემბრის №XX საგადასახადო დავალებით, რომლის მიხედვით, ქ. თბილისის მერია ურიცხავს 254 000 ლარს ლ.გ.-ს ანგარიშზე „ბაზის ბანკში“, ზემოხსენებული ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 დეკემბრის №XX.XX.XXXX დადგენილების თანახმად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას, რომ სადავო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული გარიგებები არის ფიქტიური, ბათილი და დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად. სადავო მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და გაუქმების მოთხოვნით ვინმე დაინტერესებულ პირს კანონით დადგენილი წესით სასამართლოსთვის არ მიუმართავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). მოცემულ შემთხვევაში კი სადავო მიწის ნაკვეთზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას (ა.ც.-სა და ლ.გ.-ს შორის) მოჰყვა შესაბამისი შედეგები, კერძოდ, საჯარო რეესტრში მიწა დარეგისტრირდა მესაკუთრე ა.ც.-ს სახელზე, ხოლო შემდეგ მოხდა მიწის ნაკვეთის ექსპროპრიაცია კანონით დადგენილი წესით. ამასთან, პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებს ადგილი ჰქონდა იმ დროს, როდესაც გ.გ. ცოცხალი იყო და მას რაიმე პრეტენზია ზემოხსენებულ გარიგებასთან დაკავშირებით არ გამოუთქვამს.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ა.ც.-მ დაადასტურა, რომ იყო ქ. თბილისის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის რეალური მესაკუთრე, ხოლო ლ.გ. იყო მისი ნდობით აღჭურვილი პირი. ამ უკანასკნელს გ.გ.-მ გაუწია მასთან რეკომენდაცია და გურულის თხოვნით გასცა გენერალური მინდობილობა ლ.გ.-ს სახელზე. ის თანხა, რაც მერიამ გადაიხადა მიწის ნაკვეთში, ლ.გ.-საგან მიიღო მთლიანად და ეს თანხა ეკუთვნოდა მას სრულად, როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს. ასევე აღნიშნა, რომ მან და გ.გ.-მ დაახლოებით 1997–1998 წლებში ერთობლივი კაპიტალით დაიწყეს საქართველოში მიწის ნაკვეთების შეძენა, ხოლო 2007 წელს, როდესაც იგი ჩამოვიდა საქართველოში, მან და გ.გ.-მ გაინაწილეს ერთობლივი თანხებით შეძენილი მიწის ნაკვეთები, ხოლო უშუალოდ თავისი კუთვნილი მიწის ნაკვეთები გაიფორმა თავის სახელზე რეესტრში. აღნიშნული ჩვენების საწინააღმდეგო რაიმე დამაჯერებელი და უტყუარი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ლ.გ.-ს ბრალდებას თაღლითობის ჩადენაში, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეების – დ.ს.-ს, ო.თ.-ს და გ.გ.-ს ჩვენებებს, რომლებშიც ისინი გამოთქვამენ ვარაუდს, რომ სადავო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული გარიგებები ფიქტიური იყო. ყველა ამ მოწმის ჩვენება, რაც დაკავშირებულია სადავო მიწის ნაკვეთთან და გ.გ.-ს და ა.ც.-ს შორის ბიზნეს საქმიანობასთან, ფაქტიურად ირიბი ჩვენებაა, რომელიც ეფუძნება სხვა პირის, მოცემულ შემთხვევაში აწარდაცვლილი გ.გ.-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის გადამოწმებაც პირველწყაროსთან შეუძლებელია. გ.გ.-ს მამამ, გუ.გ.-მ პირველი ინსტანციის

სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს განაცხადა, რომ იგი არ ღებულობდა უშუალო მონაწილეობას თავისი შვილის საქმიანობაში, მაგრამ ისე, იცოდა ყველაფერი. მისივე ჩვენებით, გ.გ.-ს ც.-სთან ბიზნეს ურთიერთობა არ ჰქონია, მოწმის სახით დაკითხული დ. ს. კი აცხადებს, რომ იცოდა გ.გ.-სგან, რომ ის და ც. ბიზნეს პარტნიორები იყვნენ. იმის მიზეზად, რატომ გადააფორმა გ.გ.-მ სადავო მიწის ნაკვეთი სხვა პირზე, დ. ს.-მ განაცხადა, რომ ამის მიზეზი იყო დავა გ.გ.-სა და ქ. თბილისის მერიას შორის, ხოლო გ.გ.-მ და ო.თ.-მ აჩვენეს, რომ ამის მიზეზი იყო დავა გ.გ.-სა და მის ყოფილ მეუღლეს შორის, რომლისთვისაც გ.გ.-ს არ სურდა ქონების გაყოფა.

სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად, როდესაც პირი მოტყუებით ეუფლება სხვის საკუთრებაში არსებულ ნივთს ან მის ქონებრივ უფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სახეზეა თაღლითობის შემადგენლობა. ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ის გარემოება, რომ დამნაშავე ქონების დაუფლების ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებად იყენებდეს მოტყუებას. თაღლითობის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია რომ მოტყუება, როგორც ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღების კონკრეტული საშუალება – ხერხი, წინ უსწრებდეს თაღლითის მიერ ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღების ფაქტს. ამასთან, მოტყუება გულისხმობს ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებას ან/და გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვას ქონების მესაკუთრის ან მფლობელის შეცდომაში შეყვანის მიზნით. მოცემული დანაშაულის სპეციფიკურ გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ გარეგნულად ქონების თუ ქონებრივი უფლების გადაცემა დამნაშავესათვის ხორციელდება ნებაყოფლობით, თავად დაზარალებულის მიერ, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი ან გამოყენებულია დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული ნდობის ფაქტორი. მოცემულ შემთხვევაში ლ.გ.-ს მხრიდან გ.გ.-ს ან სხვა პირის მოტყუების ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ლ.გ. მოქმედებდა გ.გ.-ს და ა.ც.-ს ნების შესაბამისად, ლ.გ. არ დაუფლებია და არ მიუთვისებია ქ. თბილისის მერიის მიერ კომპენსაციის სახით გადახდილი თანხა – 254 ათასი ლარი, არამედ ფული გადასცა მის კანონიერ მფლობელს ა.ც.-ს.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა რა გასაჩივრებული განაჩენი, თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა მხარეთა მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული გამამართლებელი განაჩენის გამოსატანად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ პროკურორის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 იანვრის განაჩენი გამართლებულ ლ.გ.-ს მიმართ უნდა დარჩეს უცვლელი;

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, –

და ა ა დ გ ი ნ ა:

პროკურორ ა.ტ.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 იანვრის განაჩენი გამართლებულ ლ.გ.-ს მიმართ დარჩეს უცვლელი;

ლ.გ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქ/პუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

ცნობად იქნას მიღებული, რომ ლ.გ.-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა, გაუქმებულია;

გამართლებულ ლ.გ.-ს აქვს საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32ა) მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე:

/გ. კახეთელიძე/